საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 9 სექტემბერი. 2021 წ. №1723 (9292) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

რა აძლევს „ქართულ ოცნებას“ სითამამის საფუძველს?

3

ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ სხვადასხვა გათვლები აქვთ?!

მედია-ტერორისტები და პოლიტიკური თაღლითები

4

ჩამოათრიეთ დავით კეზერაშვილი ქართულ ციხეში

5

◎ რაც კარგია, კარგია!

ერთ წელიწადში საქართველოში გაიხსნება პირველი სავაჭრო ქალაქი

ნამდვილად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რეგიონში პირველი „აუთლეტ ვილიჯის“ მშენებლობა დაიწყო; სულ რაღაც ერთ წელიწადში საქართველოში გაიხსნება პირველი „აუთლეტ ვილიჯი“, ანუ სავაჭრო ქალაქი, რომელიც მოემსახურება როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე საქართველოში ჩამოსულ მილიონობით ტურისტს, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა „აუთლეტ ვილიჯის“ პროექტის წარდგენაზე გამოსვლისას განაცხადა, სადაც, მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, პროექტის ინვესტორებსა და პარტნიორებთან ერთად სიმბოლური კაფსულა ჩადო.

მთავრობის მეთაურის თქმით, ძალიან მნიშვნელოვან პროექტს, რომლის ღირებულებაც დაახლოებით 70 მილიონი ლარია, კომპანია „დომუსი“ ახორციელებს.

„70 მილიონი ლარი არის პირდაპირი ინვესტიცია. ჩვენთვის სასიხარულოა ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც ეს სავაჭრო ქალაქი გაიხსნება, 2 ათასი ადამიანი დასაქმდება. ჩვენ გვახარებს ის ფაქტი, რომ პროექტირებაში ჩართულია ესპანური კომპანია, რომლის დაპროექტებულია მადრიდის და ბარსელონას „აუთლეტ ვილიჯები“. ამას გარდა, ძალიან სასიხარულოა, რომ ახალ სავაჭრო სივრცეს მენეჯმენტს გაუწევს მსოფლიოს ტოპ-კომპანიებში შემავალი ამერიკულ-ევროპული აუთლეტ მენეჯმენტ კომპანია. მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს და ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმის განვითარება. მოგეხსენებათ, 2019 წელს 9 მილიონზე მეტი ტურისტი იყო შემოსული ქვეყანაში. პანდემიამ, ბუნებრივია, დააზარალა ტურიზმის სექტორიც, თუმცა ჩვენ ძალიან დიდი ოპტიმიზმი გვაქვს იმისა, რომ ძალიან სწრაფად მიმდინარეობს ეკონომიკის აღდგენა. წელს უკვე მილიონი ტურისტი შემოვიდა საქართველოში, რაც ძალიან მისასალმებელია. ჩვენ ძალიან მოკლე დროში მოვახერხეთ ეკონომიკის აღდგენა, გვაქვს 12%-იანი ზრდა და ის სიგნალები და იმპულსები, რაც ბიზნესისგან მომდინარეობს, ძალიან საიმედოა“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

„ჯორჯიან აუთლეტ ენდ რეზორტ გრუპი“ 10 ჰექტარ ტერიტორიაზე ქალაქის ტიპის „აუთლეტ ვილიჯის“ მშენებლობის პირველ ფაზას 2022 წელს დაასრულებს. პროექტის ინვესტიციის მოცულობა 70 მილიონი ლარია. „აუთლეტ ვილიჯის“ მშენებლობის პროცესში შეიქმნება 500 სამუშაო ადგილი, ხოლო სავაჭრო სივრცის სრული დატვირთვით ფუნქციონირებისას 2 000-ზე მეტი ადამიანი დასაქმდება.

შანაი ბრუკის მკვლელობის ბრალდებით ერთი პირი დააკავეს

შსს-მ ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკის მკვლელობის ბრალდებით გუშინ ერთი პირი დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, რომ დაკავებულია თბილისში მცხოვრები, 1988 წელს დაბადებული რ.მ.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის და თბილისის პროკურატურის თანამშრომლებმა, ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2021 წლის 30 ივლისს თბილისში, მთაწმინდის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი, ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი ედუარდსის განზრახ მკვლელობის ფაქტი გახსნა. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით დაკავებულია თბილისში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე.

ავსტრალიის მოქალაქე შანაი ბრუკი ბოლო ერთი წლის განმავლობაში დროებით ცხოვრობდა თბილისში, გოგებაშვილის პირველ შესახვევში. მეგობრების განმარტებით, იგი ხშირად სეირნობდა მთაწმინდის პარკის მიმდებარედ არსებულ ტყის მასივში. 30 ივლისს შანაი ბრუკი მეგობრებს უნდა შეხვედროდა, თუმცა არ მივიდა დათქმულ დროს და მას შემდეგ მასთან კომუნიკაცია შეწყდა.

მოგვიანებით, შანაი ბრუკის მეგობრებმა აღნიშნულის შესახებ სამართალდამცველებს შეატყობინეს. შეტყობინების მიღებისთანავე, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სამძებრო ღონისძიებები დაიწყეს.

31 ივლისს დღის მეორე ნახევარში ნანახი იქნა ახალგაზრდა ქალის ცხედარი, რომელსაც აღენიშნებოდა ძალადობის კვალი. გამომძიებლის მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის ექსპერტ-კრიმინალისტების მონაწილეობით მოხდა შემთხვევის ადგილისა და ცხედრის დათვალიერება, რა დროსაც ამოღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე არაერთი ნივთი და ბიოლოგიური კვლები. ასევე, ამოღებულ იქნა დანაშაულის ჩადენის იარაღი — დანა, დაზიანებულ მდგომარეობაში. გამოძიების ფარგლებში შეკრებილი მტკიცებულებების, მათ შორის, მოწმეთა ჩვენებების, ვიდეოსამეთვალყურეო კამერების ჩანაწერების, გენეტიკური ექსპერტიზის დასკვნისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, მოსამართლის განჩინებით, მიმდინარე წლის 8 სექტემბერს ბრალდებულის სახით დაკავებულ იქნა 1988 წელს დაბადებული რ.მ.“ — განაცხადეს შსს-ში.

უწყების ცნობით, საქმეზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გარდაიცვალა

მერაბ ბერძენიშვილის მუზა კირა მიქელაძე

7

რედაქციაში პანდემიის შემოტევის გამო ვერ მოხერხდა გაზეთის რამდენიმე ნომრის დროულად გამოცემა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით ჩვენს მკითხველს.

ეს წერილი გაზეთის წინა ნომერში უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ რედაქციის თანამშრომლებზე პანდემიის შემოტევის გამო ვერ მოხერხდა მისი დაბეჭდვა...

წერილის განსაკუთრებულობის გამო დღეს გთავაზობთ მას.

საქართველოს პრეზიდენტი:

განცხადებული უარი ევროკავშირის სესხის მიღებაზე გაუგებარი ნაბიჯია!

– **დღეს** 2 სექტემბერია და ზუსტად ერთი თვე რჩება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე! არჩევნებამდე, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის და ჩვენი ევროპული გზისთვის მნიშვნელოვანი დატვირთვის მატარებელი არის და იქნება. უნდა შევძლოთ და ჩავატაროთ სამაგალითო არჩევნები სიძულვილის ენის, ძალადობისა და შეურაცხყოფის გარეშე, დემოკრატიულ, კონკურენტულ და სამართლიან გარემოში! ამას ელოდებიან ჩვენი მოქალაქეები და ამას დააკვირდებიან ჩვენი პარტნიორები! აქამდე მოვედით და გადავლახეთ უამრავი პოლიტიკური თუ ეკონომიკური სირთულე, რომ არა ჩვენი პარტნიორების დახმარება, სოლიდარობა, გვერდში დგომა და განეული შრომა, ძალიან რთული იქნებოდა პანდემიის მიერ გამოწვეული მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა თუ შიდაპოლიტიკური დაპირისპირების გაძლება, გადალახვა და სტაბილურობის შენარჩუნება.

ისიც გვესმის, რომ რაიმე სახით, ან რამე მიზეზით ევროპული თანადგომისა და ჩვენი ქვეყნის და რეგიონის მიმართ ინტერესის შესუსტება, ხელს აძლევს მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის იმ შიდა თუ გარე ძალებს, რომლებიც ცდილობენ გამოიწვიონ ქვეყნის დესტაბილიზაცია თუ დასუსტება. სწორედ ამ გარემოებიდან გამომდინარე, განცხადებული უარი ევროკავშირის სესხის მიღებაზე მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის და პირადად ჩემთვის საკმაოდ გაუგებარი ნაბიჯია.

ეკონომიკური არგუმენტი – ვალის შემცირების აუცილებლობა – ანალიზს ვერ უძლებს! როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკის ზრდა, თუნდაც ორციფრიანი, ის მაინც არ ანულირებს იმ სოციალურ და ადამიანურ ზიანს, რაც კოვიდმა მოუტანა ჩვენს მოსახლეობას, და რისი შემცირებაც უშუალოდ ემსახურებოდა აღნიშნული 75 მილიონევროიანი (ანუ 300 მილიონი ლარის ოდენობის) სესხი. გაუგებარია, თუ რა განაპირობებს იმას, რომ დღეს საკუთარი მოქალაქეების კრიზისულ მდგომარეობაზე მეტად პრიორიტეტული საერთაშორისო ვალის შემცირება გახდა. სანამ ორციფრიანი ზრდის შედეგი საზოგადოების კეთილდღეობაზე არ აისახება, დახმარებაზე უარის თქმის ლოგიკა ძნელად გასაგებია! ცოტა არ იყოს პარადოქსულადაც ჟღერს ერთი ხელით ევროპის სესხზე უარის თქმა და მეორე მხრივ, სხვადასხვა პროექტებზე, მათ შორის რიკოთის მაგისტრალის მშენებლობაზე აპელირება, მაშინ, როცა იგი დიდწილად ევროპიდან წამოსული სესხებით ხორციელდება!

ეკონომიკური შედეგები ამ ნაბიჯის, ამ სესხის აღება-არ აღებით – არ შემოიფარგლება. აქ მთავარი ჩვენი ქვეყნის რეპუტაცია, ჩვენი სიტყვის სანდოობაა! მართალია, რომ ხელისუფლებას ნებისმიერ სესხზე უარის თქმის უფლება გაჩნია, თუმცა სესხთან ერთად ხელმოწერილი დოკუმენტების მიმართ ცვალებადი დამოკიდებულება და ცალმხრივი აუხსნელი გადაწყვეტილებები, შესაძლოა, აისახოს როგორც ქვეყნის ხვალინდელ რეიტინგზე, ასევე უცხოელი ინვესტორების განწყობაზეც.

დარწმუნებული ვარ, რომ ეკონომიკური იზოლაციონიზმი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში მდიდარ ქვეყნებისთვისაც მიუღწევადია, და ჩვენთვის, როგორც პატარა ქვეყნისთვის სახიფათო ილუზიაა, ამ გადაწყვეტილებებს არ უდევს საფუძვლად, თუმცა საჭიროა სიფრთხილე, რათა ასეთმა ნაბიჯებმა მოსახლეობაში არ გააჩინოს ცრუ წარმოდგენები.

ევროკავშირის სოლიდარობასა და პარტნიორობას ალტერნატივა არ გააჩნია, რაც მოსახლეობის 80%-ს არა თუ ესმის, კიდევაც იზიარებს. ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ავღანეთის შემდგომ პერიოდში, ახალი სტრატეგიული ვითარება იქმნება, სადაც ჩვენი სტაბილურობა და უსაფრთხოება უფრო მეტად დამოკიდებული იქნება ევროპაზე, ვიდრე აქამდე. როცა ჩვენს მოქალაქეებს ვპირდებით „მეტ ევროპას საქართველოში და მეტ საქართველოს ევროპაში“ და ევროპელ პარტნიორებს 2024 წელს კანდიდატურის განაცხადის შეტანას, ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია ამ გზაზე შევინარჩუნოთ ჩვენი პარტნიორების სრული ნდობა და მხარდაჭერა!

ჩემი როლი ნათელზე ნათელია ამ ვითარებაში: მე ვდგავარ და ვიდგები საქართველოს ევროპული არჩევანის მხარეს, ყველაფერს ვიღონებ, რომ არავინ, არც ხელისუფლებამ დაუფიქრებელი ნაბიჯებით და არც დესტრუქციულმა ოპოზიციამ, რომელიც დღეს თავხედურად ხელს აწერს დოკუმენტს, რომელსაც 6 თვე ძირს უთხრიდა, შეძლოს ამ გზის არევა და ამით ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების საფრთხის ქვეშ დაყენება. ერთს ეკუთვნის პასუხისმგებლობა სამართლიანად ჩაატაროს არჩევნები, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები და გაამყაროს ქვეყნის მიმართ ნდობა; მეორეს კი არ უნდა მიეცეს დესტაბილიზაციის პროვოცირების საშუალება უმიზეზოდ არჩევნების ლეგიტიმურობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებით. ჩემი პოზიცია უცვლელია: მე ვარ ერთგული ყველაფერი იმის, რასაც ვიცავ მუდმივად პირველი დღიდან: საზოგადოების ერთობა, დეპოლარიზაცია, ქვეყნის გაერთიანება, პოლიტიკური დემოკრატია და ევროპული მომავალი!

მთავარი რედაქტორისგან

როცა ქვეყნის პრეზიდენტი, საქართველოს მთავარსარდალი, ერთობ გამოცდილი ევროპელი (თანაც ფრანგი!) დიპლომატი სალომე ზურაბიშვილი ასე პრინციპულად შემოულაწუნებს პოზიციასაც და ოპოზიციასაც, გულწრფელად უნდა გვიხაროდეს, რომ საქართველო ჭეშმარიტი ევროპული დემოკრატიის გზას ადგას და მაღალ ეშელონებშიც კრიტიკული სიტყვის თავისუფლება უზენაესი ღირებულებაა.

კიდევ უფრო სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ „ქართული ოცნების“ დღევანდელი მთავრობა კი არ გააღიზიანა პრეზიდენტის პრინციპულმა შენიშვნებმა, არამედ პირიქით – კიდევ უფრო ჩააფიქრა ის, მაინცდამაინც ამ გაგანია პანდემიის პირობებში, ევროკავშირისგან დაბალპროცენტიანი სესხის აღება-არაღების გადაწყვეტილების პირველმა შეფასებებმა.

როგორც პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, ქვეყანა ერთმნიშვნელოვნად აპირებს მილიარდობით საგარეო ვალის თანდათანობით შემცირებას და ჩვენ კიდევ ერთხელ განვუმარტავთ ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებს, რომ ამ ფინანსურ პრობლემებს არაფერი აქვს საერთო ქართველი ხალხის ერთსულოვან გადაწყვეტილებასთან ევრო-ატლანტიკური კურსის ურყეობის შესახებ.

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ კი ხაზგასმით დასძინა, რომ ის იღებს პირად პასუხისმგებლობას ევროკავშირისა და პირადად შარლ მიშელის დოკუმენტით გათვალისწინებული სამართლებრივი და საარჩევნო რეფორმების პუნქტ-პუნქტადაც შესრულების თაობაზე.

მთავრობის მხრიდან პასუხისმგებლობის აღება, იცოცხლეთ, ძალიან კარგია, მაგრამ, ახლა უფრო მთავარია „ქარული ოცნების“ პუნქტ-პუნქტად შესრულებული რეფორმები იწამონ და აღიარონ ევროპელებმა და ამერიკის შეერთებული შტატების ჩვენი მთავრობისადმი ზედმეტად მკაცრმა და ოპოზიციის შეფასებებში აშკარად მიკერძოებულმა ელჩმა, ქალბატონმა კელი დეგნანმა!

თუმცაღა, მარტო მთავრობა ამას ვერ შეძლებს, ქართველი ხალხის თანადგომაა საჭირო. ეს თანადგომა ოპერატიულად უნდა დავუმტკიცოთ ჩვენს უცხოელ კეთილისმყოფელებსაც და ჩასაფრებულ ოპოზიციასაც – 2 ოქტომბერს ამომრჩეველთა უმრავლეობამ ხმა მივცეთ საქართველოს გადამრჩენელ „ქართულ ოცნებას“.

სპარტაკ ქოგულია

ნიკოლ ფაშინიანი:

მადლობა იმ შესაძლებლობებისთვის, რაც შექმნილია საქართველოში მცხოვრები სომხების თვითმყოფადობის განვითარებისა და შენარჩუნებისთვის

ჩვენი ურთიერთობებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია საქართველოში მრავალრიცხოვანი სომხური დიასპორის არსებობა და ვფიქრობ, რომ საქართველოს სომხები, როგორც საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქეები, საქართველოს განვითარების საქმეში მნიშვნელოვანი აქტორები იქნებიან, – ამის შესახებ ნიკოლ ფაშინიანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთობლივ ბრიფინგზე განაცხადა. სომხეთის პრემიერმა საქართველოს მთავრობას სომხური დიასპორისთვის შესაძლებლობების შექმნისთვის მადლობა გადაუხადა.

გულწრფელი მადლობა ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ივნისში 15 მძევლის დაბრუნებაში გაწეული მხარდაჭერისთვის

მადლობა ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს ივნისში 15 მძევლის დაბრუნებაში გაწეული მხარდაჭერისთვის, – ამის შესახებ სომხეთის პრემიერ-მინისტრმა ნიკოლ ფაშინიანმა განაცხადა.

„იმ დღეებში ჩვენ ტელეფონით ბევრჯერ დავუკავშირდით ერთმანეთს და მე ხუმრობით ვამბობ, რომ ამ ორი დღის განმავლობაში საქართველოს პრემიერთან უფრო მეძნდა კონტაქტი, ვიდრე წინასაარჩევნო პერიოდში ჩვენს ამომრჩევლებთან. იმ დღეებში ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ურთიერთობის ახალ დონეზე ჩამოყალიბება“.

ირაკლი ღარიბაშვილის ფასილიტაციითა და ფილიპ რიკერის ჩართულობით, აზერბაიჯანულმა მხარემ კონფლიქტის დროს დაკავებული სომხეთის 15 მოქალაქე გაათავისუფლა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის შუამავლობით, სომხეთმა, თავის მხრივ, აზერბაიჯანს გადასცა ერთ-ერთი ტერიტორიის ანტისანაღმო რუკები, რომელსაც ის კონფლიქტამდე აკონტროლებდა და შემდეგ ბაქოს კონტროლქვეშ აღმოჩნდა.

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲡᲐ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ?!

ᲙᲐᲮᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ:

ᲠᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ ᲡᲘᲗᲐᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ?

ᲞᲐᲠᲐᲓᲝᲥᲡᲘᲡᲔᲑᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲪᲮᲝ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲜᲘᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲑᲝᲚᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲐᲓ ᲠᲣᲛ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, „ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ“ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ...

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲠᲐ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲡᲘᲗᲐᲛᲐᲛᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲔᲚᲘᲢᲐᲡ, ᲛᲡ�გᲐᲕᲡ ᲓᲐᲫᲐᲑᲣᲚ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲗᲐᲜ, ᲛᲘᲗ ᲣᲤᲠᲝ, ᲠᲝᲛ ᲐᲛ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲬᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲐ�პᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲘᲕᲔ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲐᲡ ᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲡ?

ᲠᲝᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲙᲐᲮᲐ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ თემის კომენტირებისას **„აქცენტთან“** რამდენიმე საგულისხმო გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას:

- „ქართული ოცნების“ მყარი ამომრჩეველი;
- ადმინისტრაციული რესურსი, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები, რომლებიც თავს „ქართული ოცნებისგან“ დავალებულად გრძნობენ;
- საქართველოში გაძლიერებული ანტიდასავლური ხასიათის ფლანგი;
- ეკლესიის მსახურთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც მოსახლეობაზე გავლენა აქვთ.

„როგორც ჩანს, სხვადასხვა ანტიდასავლური ძალების მოძლიერების ფონზე, „ქართულ ოცნებაში“ გაჩნდა თავდაჯერებულობა, რომ ეს ხალხი მათ დაუჭერს მხარს, თუ თავად დასავლეთის მიმართ სისუსტეს არ აჩვენებენ. ეს თავისებური ტაქტიკაა: „ვითანამშრომლოთ, მაგრამ ჩემი უფროსი ევროპარლამენტარი არ არის“ – როგორც ეს პრემიერ–მინისტრმა თქვა“.

ამ ვერსიის მიხედვით, „ქართულ ოცნებაში“ აქვთ განცდა, რომ ხსენებული ტაქტიკით თვითმმართველობის არჩევნებზე (რომელიც ოპოზიციის მხრიდან ერთგვარ რეფერენდუმადაა დანახული) წარმატებას მიაღწევენ, რაც პრობლემური საპარლამენტო არჩევნების შემდეგ (რამაც ქვეყანა მწვავე პოლიტიკურ კრიზისში გადაჩეხა) ერთგვარ ლეგიტიმაციას მიანიჭებთ, თავად ლეგიტიმაცია კი – ევროკავშირთან თამამი პოზიციონირების შესაძლებლობას, „ჩვენ მხარდაჭერა გვაქვს და ნუ გველაპარაკებით ნიშნის მოგებითო“:

„მაგრამ ეს ხომ ბელარუსის გზაა?! თუ არაა იზოლაციის გზა, პერსპექტივის შემცირების მაინცაა: ჩვენთვის ადგილის ტკეპნა საკმარისი არაა! მნიშვნელოვანია, ევროინტეგრაციის გზაზე მაქსიმალურად სწრაფად სვლა. ამჟამად ხიდზე ვდგავართ, რომელიც გვენგრევა. აქ შემდეგი არჩევანია: ან წყალში გადავვარდებით, ან ფონს გავალთ, ან უკან უნდა დავიხიოთ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თუ უკან დავბრუნდებით, ხიდი ჩაინგრევა!“.

გოგოლაშვილი დარწმუნებულია, რომ „ქართულ ოცნებაში“ ესმით ვითარების სიმძიმე და მმართველი პოლიტიკური გუნდის მოტივების კონტექსტში ორ სავარაუდო ვერსიაზე ამახვილებს ყურადღებას:

- „ᲐᲜ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲒᲐᲜ ᲘᲦᲔᲑᲔᲜ, ᲛᲐᲡ ᲙᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗᲐᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲕᲔᲓᲠᲐᲨᲘ: ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲪᲕᲚᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲫᲐᲚᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲐ.
- ᲐᲜ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ“ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗᲘ ᲒᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲗ: ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲝᲡ, ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲙᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲔᲜ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲔᲜ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲡᲢᲐᲢᲣᲡ-ᲙᲕᲝᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐᲡ“.

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲡ“ „ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲗᲚᲐ“?

ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲘ თავად ევროკავშირის პოზიციონირებაზეც ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, ფიქრობს, რომ მოვლენათა ამჟამინდელი განვითარება ჯერ კიდევ 10 წლის წინ, ვიდრე ევროკავშირში ერთდროულად იჩენდა თავს რამდენიმე კრიზისი, ორგანიზაციისგან გაცილებით ხისტ დამოკიდებულებას დაიმსახურებდა, მაგრამ დღეს მოცემულობა განსხვავებულია:

„ამჟამად ევროკავშირი გეოპოლიტიკურ თამაშებშიცაა ჩართული, პოზიციები შესუსტებული აქვს, მათ შორის, ეკონომიკური თვალსაზრისითაც, ჩინეთი პოზიციონირებს, როგორც კონკურენტი, ევროკავშირის მოკავშირე ამერიკაც შესუსტდა და ეს ყველაფერი ევროკავშირს პარტნიორებთან (და მათი შეცდომებისადმი) უფრო ფრთხილი პოლიტიკის გატარების სტიმულს აძლევს: ცდილობს, გავლენები შეინარჩუნოს. მაგალითად, სომხეთმა ასოცირების შეთანხმებაზე უარი თქვა, მაგრამ მასთან თანამშრომლობა კვლავ გრძელდება: მიზანი, რომ სომხეთი დემოკრატიული ქვეყანა გახადონ, მეტია, ვიდრე სხვა რამ, რადგან დასავლეთის გეოპოლიტიკა დემოკრატიის გავრცელებაზე დგას. ასე იყო აშშ და ასეა ევროკავშირიც“.

ანალიტიკოსის დაკვირვებით, სადღეისოდ ანალოგიური დამოკიდებულებაა საქართველოსთან მიმართებაშიც:

„მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მხრიდან პროევროკაციული ნაბიჯები აშკარაა, ასე მარტივად „არ შეგვეშვებიან“, რადგან ეს დამარცხება იქნება იგივე, რაც მაგალითად, ამერიკამ ავღანეთში გააკეთა. მაგრამ, ავღანეთისგან განსხვავებით, ევროკავშირი აღმოსავლეთ ევროპას და საქართველოს არ უყურებს როგორც სხვა ცივილიზაციას. პირიქით, ხედავს, რომ გვაქვს მიდრეკილება და პოტენციალი, გავხდეთ ევროპული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი. თუმცა ჩვენ, როგორც უკვე ვთქვი, ხიდზე ვდგავართ. მსოფლიოში გლობალური პროცესები სწრაფად ვითარდება, სწრაფად მზარდი კონკურენციაა, რესურსები მცირდება, სიტუაცია იძაბება, არსებობს კრიზისები... ძალიან სახიფათო მომენტია, ამიტომ, მკაფიო არჩევანი სწრაფად უნდა გავაკეთოთ და არა მხოლოდ სიტყვით“.

ᲠᲐ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲝᲐᲮᲓᲘᲜᲝᲡ ᲒᲐᲕᲚᲔᲜᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲖᲔ“?

ᲓᲘᲓᲘ ᲮᲘᲤᲐᲗᲐ, რომელიც შესაძლოა, მათ („ქართული ოცნების“ ლიდერებმა – რედ.) დაინახონ – პასუხობს კითხვას ანალიტიკოსი და იქვე დასძენს, რომ „ეს შესაძლოა, იყოს ქვეყნის ოკუპაციის საფრთხე, ან ამგვარი პოლიტიკით ხელისუფლების დაკარგვის რისკი, ეკონომიკური კოლაფსი, ჰუმანიტარული კრიზისი, რასაც მარტონი ვერ გაუმკლავდებიან და კვლავ დასავლეთის დახმარება დასჭირდებათ. ან ხალხის ნება“ – თუმცა, ამ უკანასკნელის გამოვლენა ანალიტიკოსს საზოგადოებაში გამჯდარი ნიჰილისტური განწყობისა და რიგი საკითხებისადმი ზედაპირული დამოკიდებულების ფონზე, შედარებით პრობლემატურად ეჩვენება:

„ხალხი არაა მობილიზებული, რადგან არ ჩანან ლიდერები, პარტიები, რომელთაც ხალხის სრული ნდობა ექნებათ და შეძლებენ სკეფსისის დაძლევას. ქართველ ხალხს ნება არაერთხელ გამოუვლენია და გვინახავს, რა ძალა აქვს მას. მაგრამ, როდესაც დაქსაქსულია, საკუთარ ნაჭუჭსა და ეგოიზმშია ჩაკეტილი, მაშინ ძალიან სუსტი და მოწყვლადია ქართველი ერი“.

ანალიტიკოსი არსებულ მოცემულობაში დასავლეთის იმიჯის შესუსტებისკენ მიმართული რუსული პროპაგანდის მნიშვნელოვან ნეგატიურ როლსაც ხედავს. შესაბამისად, მისი დაკვირვებით, საზოგადოება ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების რისკებთან დაკავშირებით გამოთქმულ შიშებს დრამატულად ვერ აღიქვამს:

„მოსახლეობაში ცინიზმი დაითესა, ხელისფლება კი ამ პროპაგანდის წინააღმდეგ ეფექტურად არ მოქმედებდა. საინტერესოა ისიც, რომ მთავრობის ახლანდელი ნაბიჯები ეყრდნობა იმ ცინიკურ და ნიჰილისტურ ფონს, რომელიც სწორედ რომ რუსულმა პროპაგანდამ შექმნა“.

ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲘ?

ᲡᲐᲜᲥᲪᲘᲔᲑᲖᲔ საუბარი ზედმეტია! – ფიქრობს კახა გოგოლაშვილი და რუსეთისა და ბელარუსის მაგალითებს იხსენებს:

„ამჟამად ევროკავშირს სანქციები რუსეთისა და ბელარუსის მიმართ აქვს დაწესებული: ორივე ქვეყანამ რაღაც ზღვარი გადალახა და ეს ძირითადად იყო ადამიანის უფლებების და საერთაშორისო სამართლის დარღვევა. საქართველოს ხელისუფლება საერთაშორისო სამართალს ნამდვილად არ არღვევს, არც ადამიანის უფლებები ირღვევა იმ მასშტაბით, რომ სანქციები დაუწესონ, როგორც არაჰუმანურ რეჟიმს. ამდენად, სანქციები ამ ეტაპზე ილუზიაა, და სულ ტყუილად აპელირებს ოპოზიციის გარკვეული ნაწილი. ამასთან, დახმარების შეჩერება, რომელსაც გარკვეული პირობები მოჰყვებოდა, სანქცია არაა, მაგრამ ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ქვეყნის პროგრესი ნამდვილად შენელებულია, რაც ქვეყანას და მის პერსპექტივას ვნებს“.

ანალიტიკოსი მწუხარებით აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი დისკურსი სადღეისოდ არა რეალურ, პრობლემატურ საკითხებზე (ეკონომიკური რეფორმებზე, ქვეყნის შესაძლებლობებზე, პოტენციალზე, განვითარების გზებზე), არამედ, სკანდალზეა ორიენტირებული, რასაც თავის მხრივ ხელს არა მხოლოდ ხელისუფლება, არამედ ოპოზიცია და მედიაც უწყობს და შიშობს, რომ გაცხადებული მიზნების ეროზია მოხდა:

„ადამიანებს აღარ სჯერათ, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება რეალურად მოხდება, ან თუ გავწევრიანდით, ეს რაღაცას მოგვცემს, რადგან არ მიდის პოლიტიკური დისკურსი, თუ რატომ გვინდა ამ ორგანიზაციებში გაწევრიანება, რა არის ამისთვის საჭირო, რა ფასი უნდა გადავიხადოთ და სანაცვლოდ რას მივიღებთ? როდესაც დავიწყეთ ევროკავშირთან ურთიერთობები, „მესიჯებს“ სერიოზულად ვაკვირდებოდით. დღეს კი არის მცდელობა, „გაბითურდეს“ ევროკავშირის „მესიჯების“ მნიშვნელობა, საზოგადოებაში მისი ფასი დაეცეს. ამას ხელს უწყობს ბევრი რამ, მათ შორის ანტიდასავლური პროპაგანდა. გავიხსენოთ, როგორ ცინიკურ რიტორიკას იყენებდა ბელარუსის პრეზიდენტი. ნაცვლად იმისა, რომ პოლიტიკის კეთება კარგი მაგალითებით ვისწავლოთ, ბოლო ხანებში, ლუკაშენკოს „კოპირება“ დავიწყეთ. ეს საბოლოო ჯამში, კარგი გამოსავალი არაა. გრძელვადიან პერსპექტივაში აუცილებლად გამოიღებს ცუდ შედეგს. მაგრამ მსგავსი მიდგომები პოპულისტურ გარემოში მუშაობს, ჩვენი საზოგადოება კი ვერ ჩამოყალიბდა გრძელვადიანი მიზნების საზოგადოებად. თითოეული ინდივიდი თავის მომავალს, მაქსიმუმ, ხუთი წლით ზომავს, ხოლო დასავლეთში 25 წლით ზომავენ მომავალს, კარიერას, პერსპექტივას და შესაბამისად მოქმედებენ. სამწუხაროდ, ჩვენი მოსახლეობის აზრებით მანიპულირება ადვილია გრძელვადიანი მიზნების დაზიანების ხარჯზე. ვფიქრობ, ოპოზიციის ვალია, შეძლონ საზოგადოებისთვის პერსპექტივების ახსნა. მოცემულობის საშუალო და გრძელვადიანი პერსპექტივების კონტექსტში სწორი შეფასების გარეშე ვერაფერს შეცვლიან“...

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲣᲭᲐᲕᲐ ᲔᲣᲗᲝᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲗᲐ Ჯ�გᲣᲤᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ თავმჯდომარე, რომელიც ავსტრიაში პარლამენტის სპიკერთა მეხუთე საერთაშორისო კონფერენციაში იღებს მონაწილეობას, ორმხრივ შეხვედრებს მართავს.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახურის ინფორმაციით, ღონისძიების ფარგლებში, კახა კუჭავა ეუთოში საქართველოს მეგობართა ჯგუფის წევრებს შეხვდა. შეხვედრაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე მდგომარეობის, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების და განხორციელებული რეფორმების შესახებ ისაუბრეს.

„ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რათა ჯგუფის წევრებს დაესვათ კითხვები და მიეღოთ პასუხები. ვისაუბრეთ თითქმის ყველაფერზე, რაც მათი ინტერესის საგანს წარმოადგენს. მთავარი განხილვის საგანი იყო ოკუპირებული ტერიტორიები და იქ არსებული მდგომარეობა, ის თუ როგორ შეიძლება, ვებრძოლოთ ამ გამოწვევას. ამავე დროს, განვიხილეთ ის მიმდინარე პოლიტიკური საკითხები, რომელიც დღის წესრიგში დგას საქართველოში და ის საკითხები, რომელზეც ვაპირებთ ვიმუშაოთ როგორც ახლო მომავალში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. მათთვის მნიშვნელოვანი იყო, როგორ მივდივართ რეფორმების კუთხით და ბევრი სხვა საკითხი, რომელიც დღეს არის აქტუალური საქართველოში“, - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

მედია-ტერორისტები და პოლიტიკური თაღლითები

რამდენიმე კვირა დარჩა არჩევნებამდე და ამიტომ პოლიტიკური პარტიების მიმართ ყოველგვარი პირადი შეხედულების გარეშე, მოდით და მშრალად ვნახოთ მათი დამოკიდებულება იმ უმნიშვნელოვანესი პროცესისადმი, რასაც ვითომ რეფერენდუმი-არჩევნები ჰქვია.

ჩვენ საკმაოდ ბევრი არჩევნები ვნახეთ. ვნახეთ როგორც ემოციების გავლენით ჩატარებული, ასევე გაყალბებული, თუ შედარებით წესიერად ჩატარებული.

ვნახეთ, თუ როგორ მიმდინარეობდა წინასაარჩევნო პერიოდები და ვიცით, თუ როგორ უნდა მიმდინარეობდეს ნორმალურ პოლიტიკურ ვითარებაში, ვიცით, თუ როგორ უნდა იძცეოდნენ პოლიტიკური ძალები, ვისაც სურს ძვეყნის ნორმალური განვითარება და ცივილური მომავალი. სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობა ამ მოთხოვნებს მიზერულადაც ვერ აკმაყოფილებს და სახეზე გვაძვს არა პოლიტიკური ბრძოლა, კამათი და ხალხისთვის იმ იდეების მიწოდება, რომელთა შორისაც ჩვენი არჩევანი მშვიდად უნდა გავაკეთოთ, არამედ აპოკალიფსური სურათის წარმოდგენა და მაძსიმალური დაძაბულობის შექმნა.

სახელისუფლებო პარტია გარკვეულწილად ცდილობს ამომრჩეველს დაანახვოს ის მომავალი, ის საქმეები, რისი განხორციელებაც დაწყებული აქვს და რომელთა დასრულებასაც გეგმავს (როგორც პოლიტიკური, ასევე სამეურნეო თვალსაზრისით).

რაც შეეხება ოპოზიციურ პარტიებს, ორიოდ გამონაკლისის გარდა, აბსოლუტურ იგნორს უკეთებენ საარჩევნო პროცესს და მდგომარეობს კომედიური შოუს მსგავსი ქმედებებიდან დაწყებული (მაგ: საარჩევნო კომისიაში ადგილების აუქციონის წესით გაყიდვა), სამოქალაქო დაპირისპირების აშკარა ანონსით დამთავრებული, მოქალაქის უზენაესი ნების გამოხატვის პროცესის სრულ დისკრედიტაციას ახდენენ.

ოპოზიციის წარმომადგენლები საერთოდ არ ეწევიან მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებს, გარდა რომელიმე სკვერში რამდენიმე „დამსვენებელთან“ გასაუბრებისა, სადაც საქმეზე ლაპარაკის ნაცვლად აგრესიულ ლოზუნგებს ისვრიან.

საქართველოს მასშტაბით წარადგინეს კანდიდატები, რომლებსაც „ვარდისფერი სათვალეებით“ დანახვის შემთხვევაშიც არანაირი შანსი არ გააჩნიათ.

საოლქო კომისიებში სხვადასხვა ტექნიკური საკითხების განხილვის პროცესში ახდენენ პროვოკაციებს და საქმიანი განხილვის ნაცვლად თავიათი ტელევიზიების ეთერებში ურცხვად ცრუობენ.

მედია-პროპაგანდა მიმართულია არა კონკრეტული პოლიტიკური თუ სამეურნეო საკითხების განხილვისკენ, არამედ ნებისმიერი ადამიანური ტრაგედიის თუ პრობლემის პოლიტიკურ ჭრილში გადატანისკენ.

და კიდევ, უამრავი სხვა საკითხი (მაგ: პროცესებში სამოქალაქო სექტორის აბსოლუტურად პოლიტიკური ხასიათის ჩართულობა დ.ა.შ.), რომელიც ამომრჩეველს საკმაოდ ლეგიტიმურ შეკითხვებს უჩენს და რომლებზეც ერთადერთი პასუხია – ოპოზიციას არ სურს არჩევნები, არ სურს ქვეყანაში ნორმალური პოლიტიკური ვითარების დამყარება და ხვდებიან რა, რომ ვერც არჩევნებით და ვერც რევოლუციური სცენარით ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, ცდილობენ საქართველოსთვის როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი მასშტაბით მაქსიმალური ზიანის მიყენებას და სხვადასხვა დამფინანსებლის მხრიდან რაც შეიძლება მეტი მატერიალური სარგებლის მიღებას.

ნაცების მიერ შარლ მიშელის უკვე ანულირებულ დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი უაზრო განცხადებები საქართველოს ევროპული გზის „გადარჩენასთან“ დაკავშირებით, რომელიმე კომედიური შოუს თემა უფროა, ვიდრე სერიოზული განხილვის საგანი, მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რეალურად რაში დასჭირდათ თავიანთი ავტოგრაფების დასმა.

დიახ, სწორედაც ავტოგრაფების, რადგანაც ამ ხელმოწერებს დღეს უკვე არანაირი ძალა და მნიშვნელობა აღარ აქვს.

მათ სურთ შექმნან დესტაბილიზაციისა და პოლიტიკური კრიზისის გამწვავების კიდევ ერთი კერა, რასაც რეალურად ვერ შეძლებენ, გარდა რომელიმე შეშფოთებული დასავლელი პენსიონერი დიპლომატის ტვიტერის პოსტის გარდა.

ხალხმა ძალიან კარგად იცის, თუ ვინ დგას ნებისმიერი კრიზისისა თუ ხელოვნური დაძაბულობის უკან და ასევე კარგად იცის, თუ ვინ იქცევა ღირსეულად და არ „უწვება“ ქვეყნისთვის დამაზიანებელ და არასაჭირო მოთხოვნებს.

პრინციპში, ძალიან ძნელია სერიოზულად იფიქრო და განსაჯო ნაცმოძრაობის და მისი უცხოელი მხარდამჭერების ბოლოდროინდელი ქმედებები, მაგრამ მაინც ვეცდები.

ნაცებმა სხვადასხვა იდიოტური გამოხტომების მიუხედავად („მიკროფონების რევოლუცია“ „რეფერენდუმი“ დ.ა.შ.) დაინახეს, რომ ამ არჩევნებში გამარჯვების კი არა, საერთოდ რიმე წარმატების მიღწევის შანსი ნულის ტოლი აქვთ და გადაწყვიტეს ხელი მოეწერათ დოკუმენტზე, რომელსაც მაქსიმალურად არღვევდნენ და შეურაცხყოფდნენ!

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ დღეს ეს ხელმოწერა არამც თუ დაგვიანებულია, არამედ ყოველმხრივ შოკისმომგვრელი და შეურაცხმყოფელია არა მხოლოდ დოკუმენტს მიერთებული სუბიექტების, არამედ საქართველოს მოსახლეობის მიმართაც.

ადრეც ვწერდი და ახლაც გავიმეორებ – „ქართულმა ოცნებამ“ მაქსიმუმი გააკეთა იმისთვის, რომ ყოფილიყო სტაბილურობა, პოლიტიკური პროცესი გაჯანსაღებულიყო და ამისთვის ზოგიერთ არაპოპულარულ ნაბიჯებზეც წავიდა.

ნაცმოძრაობამ და მისმა სატელიტებმა ჩათვალეს, რომ დათმობები ოცნების სისუსტის მაჩვენებელია!

ეს ასე არ აღმოჩნდა.

პირიქით – როგორც ვხედავთ, ზოგიერთ საკითხში უკან დახევა არა სისუსტის, არამედ სიძლიერის ნიშანი ყოფილა და რამდენი არზა და უსტარიც არ უნდა აფრინონ ნაცებმა თავიანთ ლობისტებთან, თუ დასავლური ინსტიტუტების გავლენიან ლიდერებთან, ის მოთხოვნები, რაც სურთ, არ შესრულდება.

კიდევ მეტსაც ვიტყვი – ერთი ადგილის ასეთი თამაშით ნაცებმა ყველას დაანახვეს, რომ ისინი არანაირ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ და მათი ადგილი პოლიტიკურ სანაგვეზეა.

ამ ყველაფერს კი ხელს უწყობს ე.წ. კრიტიკული მედია, რომლებზეც მინდოდა კიდევ ერთხელ მეღადავა (დიახ, კი არ დამეცინა, არამედ ზუსტადაც რომ მეღადავა), მაგრამ ნაცმედიის მარაზმი უკვე ყველა ზღვარს გადასცდა და უპასუხობა ნამდვილი დანაშაულია.

უბრალოდ, მინდა ყურადღება გავამახვილო იმ მედია-ტერორისტებზე, რომლებიც რუსული ტერორის შემქმნელების, სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პირდაპირი და უტრაკო შთამომავლები არიან.

პირდაპირ ვიტყვი, რომ ვინმე ნოდარ მელაძეს შესაძლებელია საერთოდ არ სმენია გვარი აზეფი, მაგრამ ის ზუსტად ისე იყენებს თავის ტელეკამერას და მიკროფონს, როგორც ის ტიპი იყენებდა ხელნაკეთ ბომბებს.

4 სექტემბერს ამ არსებამ სცადა თავისი დამზადებული „ბომბები“ ესროლა პირდაპირ ბიძინა ივანიშვილისთვის!

საამისოდ კი გამოიყენა 2011 წელს მასთან ჩანერგილი ვანო მერაბიშვილის აგენტის მიერ გაკეთებული რაღაც აუდიოჩანაწერი და... იმ თავის ხელნაკეთ ბომბზე თავად აფეთქდა.

არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ავთენტურობა არ არის დადგენილი.

არ ვიტყვი იმას, რომ ე.წ. „ჩანაწერი“ 2011 წლით თარიღდება, როცა ქვეყანას სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაიები, ბარამიძეები, უგულავები, ბოკერიები და სხვა მანქურთები მართავდნენ.

უბრალოდ ვიტყვი, სიყალბით და უზნეობი გატენილი ტელევიზიების და ნოდარა მელაძის მსგავსი არსებების გათვლაა „ბომბი დაუნდობლად ისროლონ“. ისროლონ, რათა ტალახი მოსცხონ და იმედი აქვთ, რომ ვიღაც გვარაზმატიკი დაიჯერებს.

კი ბატონო, დაიჯეროს იმ ორიოდ გვარაზმატიკმა.

ხალხი 2 ოქტომბერს თავის არჩევანს გააკეთებს და რუსული ტერორის ქართველ მედია-შთამომავლებს და ქვეყანაში არეულობის მოსურნეებს საკადრის პასუხს გასცემს.

გია გაბრიჭიძე
(ტ. 555591668)

არ უყუროთ ამაზრზენი „ჟურნალისტის“ ნაბოდვარს!

„ტვ პირველის“ თანამშრომლებმა, იქნებ, მათზე პიკანტურ და უხერხულ სიტუაციაში გადაღებული ფარული ჩანაწერებიც მოიკითხონ, რომელიც სააკაშვილს მრავლად აქვს ჩაწერილი“

ისევ წინასაარჩევნო „შავი პიარი“ ფარული ჩანაწერებით, ისევ „ტვ პირველი“ და, რა თქმა უნდა, ისევ ნოდარ მელაძე! ამჟამადაც ჟურნალისტი „ექსკლუზიური“ მასალით იწონებს თავს, სადაც ბიძინა ივანიშვილის რუსეთთან მჭიდრო კავშირებზეა საუბარი. თუმცა, როგორც ყოველთვის, ნოდარ მელაძის შოუს ანონსი უფრო ბოლივუდის ფილმის რეკლამისთვისაა განკუთვნილი, ვიდრე რეალურად, სიუჟეტი და იქ მოთხრობილი ამბავია.

ჟურნალისტის მონაყოლის მთელი ხაზი სიუჟეტში დაჭრილ და კონტექსტიდან ამოვარდნილ დიალოგზეა აწყობილი. სიუჟეტის ავტორი ამტკიცებს, რომ ჩანაწერი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს 2008 წლის სექტემბერშია გაკეთებული. თუმცა სულაც არ აინტერესებს ივანიშვილს, რატომ და ვინ უსმენდა. მელაძე ჯიუტად ამტკიცებს, რომ დიალოგი, რომლიდანაც საერთოდ ვერ გაიგებ საუბარი რაზეა, შეეხება იმას, რომ ივანიშვილი რუსეთის ელჩს, რომელიც მაშინ ომის გამო ქვეყანას ტოვებდა, ბოდიშებს უხდის და კრემლში ჩასვლას ჰპირდება. ამას კი შუამავლის „ქართუ ბანკის“ მაშინდელი მაღალჩინოსნის **გიგა ჩრდილელის** დახმარებით აკეთებს. აღსანიშნავია, რომ ივანიშვილმა ჩრდილელი ენმ-თან თანამშრომლობაში ამხილა და თანამდებობიდან გადააყენა. დაჭრილ და დამონტაჟებულ საუბარში საერთოდ არ იკითხება ის შინაარსი, რასაც სიუჟეტში ჟურნალისტი გვიყვება. არც ერთი სიტყვიდან არ ჩანს, რომ ივანიშვილი კრემლთან მჭიდრო კავშირშია. ეს უფრო წუხილია ომის გამო და იმაზე, რომ ამ უბედურების თავიდან არიდება შეგვეძლო.

რუსეთის ელჩის პოსტი საქართველოში ამ დროს **ვიაჩესლავ კოვალენკოს** ეკავა. ქვეყნიდან წასვლის წინ მას რამდენიმე ადამიანთან გამომშვიდობება უნდა, ამიტომ მელაძე ამტკიცებს, რომ ასეთი, ვისაც კრემლი ენდობა, ივანიშვილია. რაც შეეხება დიალოგს, რომელიც ივანიშვილს ჩრდილელთან აქვს, მსგავსი არაფერი ისმის.

საუბარში, რომელიც არ ვიცით, არის თუ არა ავთენტური, გიგა ჩრდილელს ბიძინა ივანიშვილი სთხოვს, რუსეთის საელჩოს მოუბოდიშოს იმისთვის, რომ გამომშვიდობებას პირადად ვერ ახერხებს, თუმცა ჰპირდება, რომ მოსკოვში ჩავა.

ჩანაწერში ჩრდილელთან საუბრისას, ივანიშვილი რუსეთის ელჩთან მიმართებაში იყენებს ფრაზას – **„ბევრ რამეს შევაცვლევინებდი“, რითაც ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ ივანიშვილი განსაკუთრებული გავლენებით სარგებლობდა. არადა, სულაც არაა გამორიცხული, რომ ივანიშვილი თავისი ავტორიტეტით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მოგვარებას ცდილობდა.**

„ადრე რომ ჩამოსულიყო, ეს სისულელეები არ მოხდებოდა“ , – ამბობს ივანიშვილი სატელეფონო საუბრისას.

აუდიოფაილში ივანიშვილი და მისი თანამოსაუბრე ძალიან ფრთხილობენ და, როგორც ჩანს, ივანიშვილმა კარგად იცის, რომ მას უსმენენ. გიგა ჩრდილელი დავალებების მიღებას და რუსეთთან კავშირს უარყოფს.

ისმის კითხვა, თუკი „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის მაღალჩინოსნებს და თავად მიხეილ სააკაშვილს ეს ჩანაწერი ამდენი ხანი ხელთ ჰქონდათ, 2012 წელს რატომ არ გამოიყენეს? „პრემიერმა ღარიბაშვილმა „ტვ პირველის“ ეთერში გასულ ჩანაწერებს ფაბრიკაცია უწოდა. მისი თქმით, ეს არის „ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზია, რომელიც მხოლოდ გაყალბებაზე და ფაბრიკაციის შექმნაზე მუშაობს.

ჩამოათრიეთ დავით კეზერაშვილი ქართულ ცხელში!

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო მილიონების გამფლანგველი საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დამნაშავედ ცნო!

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, საქართველოს პროკურატურის 2018 წლის 21 ივნისის საკასაციო საჩივრის საფუძველზე, გააუქმა თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გამამართლებელი განაჩენი და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილი თანხის გაფლანგვისთვის, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი დამნაშავედ ცნო.

დადგინდა, რომ 2008 წლის 10 იანვარს საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა დ.კ.-მ, მასთან დაკავშირებული პირის — მისი მეგობრის ო.შ.-ს და ოფშორულ ზონაში რეგისტრირებული კომპანიის სასარგებლოდ თანხების გაფლანგვის მიზნით, ყოველგვარი საფუძვლისა და კომპანიის შემოწმების გარეშე, გამოსცა ბრძანება ხსენებულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ. მანვე სიტყვიერად დაავალა, მასთან დაახლოებულ პირს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის იმჟამინდელ უფროსს ა. ნ.-ს, კომპანიის წარმომადგენელთან ხელშეკრულების უპირობოდ, სასწრაფოდ, ყოველგვარი შემოწმების გარეშე, იმავე დღეს გაფორმება. აღნიშნული დავალება შესრულებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტის დებულების მოთხოვნების უხეში დარღვევით, კერძოდ, მან, იურიდიული პირის შეუმოწმებლად, შეთავაზებული მომსახურების საბაზრო ღირებულების შეუსწავლელად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის სათანადო დეპარტამენტებთან შეუთანხმებლად და საბანკო და სხვა სახის გარანტიების მოთხოვნის გარეშე, ასევე „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაშვების ნებართვის არარსებობის მიუხედავად, იმავე დღეს, 2008 წლის 10 იანვარს, კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი ქვედანაყოფების გეგმური საბრძოლო მომზადების შესახებ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 5 685 000 ევროს ოდენობით, საიდანაც, დ.კ.-ს დავალებით 5 060 000 ევრო გადაირიცხა კომპანიის ანგარიშზე, ხოლო კომპანიის მხრიდან სანაცვლოდ შესასრულებული ვალდებულება - სამხედრო წვრთნების ჩატარება - საერთოდ არ განხორციელებულა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, დ.კ. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე 3 წლით ჩამოერთვა საჯარო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება. აღნიშნული სასჯელი, 2012 წლის 29 დეკემბრის „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განახევრდა და საბოლოოდ დ.კ.-ს განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 1 წლით და 6 თვით ჩამოერთვა დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

რაც შეეხება ამავე საქმეზე მსჯავრდებულ თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტის ყოფილ უფროსს ა.ნ.-ს, რომელიც თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლით 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენი უცვლელად დარჩა ძალაში.

საზოგადოებას ასევე ვაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს გენერალური პროკურატურა აგრძელებს გამოძიებას თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი დანაშაულებრივად გაფლანგული, საქართველოდან სხვადასხვა ქვეყანაში გადარიცხული თანხების მოძიების, უკანონოდ დაუფლებული თანხების საბოლოო მესაკუთრეების დადგენისა და აღნიშნულ დანაშაულებრივ სქემაში მონაწილე პირთა გამოვლენის მიზნით.

თავისუფალ სიტყვას ვეხმარებიო, ამ გამყიდველმა!

თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს მისთვის უზენაესი სასამართლოს მიერ ხუთწლიანი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებით.

„ივანიშვილის პირადი იურისტისა და ყოფილი გენერალური პროკურორის ხელით, უზენაეს სასამართლოში მიღებული გადაწყვეტილება, კიდევ ერთი ნაბიჯია მისი მხრიდან, სასამართლო სისტემის საკუთარ ვიწრო პოლიტიკურ ამოცანებზე მორგებისა.

მე ჩემი ქვეყნის მიმართ განსაკუთრებული სიყვარული და პასუხისმგებლობის გრძნობა გამაჩნია. სწორედ ეს პასუხისმგებლობა წარმოადგენდა და წარმოადგენს მთავარ მოტივს, წლების განმავლობაში, საქართველოში თავისუფლებისთვის ბრძოლის ნებისმიერი გამოვლინების აქტიური გულშემატკივარი და თანამდგომი ვყოფილიყავი — იქნებოდა ეს სამოქალაქო აქტივიზმი თუ ხელისუფლების გავლენებისგან თავისუფალი, დასავლურ ფასეულობებზე დაფუძნებული მედიასაშუალების მხარდაჭერა.

უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულ სამარცხვინო გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებ სტრასბურგის სასამართლოში. თადუმაძე და ივანიშვილის ჯიბის სასამართლო მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ყველაფერი იკადროს — მათსავე სასამართლოს ორ ინსტანციაში ჩემი უდანაშაულობის უტყუარი მტკიცებულებებით გამართლებისა და თითქმის ოთხწლიანი პაუზის შემდეგ, საქმე ამგვარად შემოატრიალოს.

ჩემთვის ცნობილია, რომ უშუალო ინიციატორი და ორგანიზატორი ამ უმსგავსობისა, ივანიშვილის ხელისბიჭი ირაკლი ღარიბაშვილია. სწორედ ის ფიქრობს, რომ ამდაგვარად დააშინებს ან დამაშანტაჟებს მე, ან ჩემს მიერ მხარდაჭერილ ტელევიზიას.

ეს კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ისტორიის სწორ მხარეს ვარ და მიმყარებს მოტივაციას, უფრო მეტი ენთუზიაზმით დავეხმარო თავისუფალ სიტყვას და ზოგადად თავისუფლებისთვის ბრძოლას საქართველოში“, — წერს სოციალურ ქსელში დავით კეზერაშვილი.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის ადვოკატი გიორგი გელხაური აცხადებს, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კეზერაშვილს 2007-2008 წლებში წვრთნების საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა.

თქვენ ხართ „რეალ.ტვ“ — ჩვეულებრივი, ისეთი როგორიც იყო 2012 წელს ვანო მერაბიშვილის ტელევიზია. დღეს, რა თქმა უნდა, თქვენი მმართველი არის სააკაშვილი, ხაზარაძე და წერეთელი, მაგრამ თქვენ ხართ ჩვეულებრივ „ნაციონალური მოძრაობის“ ტელევიზია — „რეალ ტვ“. იგივე სტილში მუშაობთ — ფალსიფიკაცია, გაყალბება, ფაბრიკაცია არის თქვენი ხელწერა.

გამყიდველმა და მოძალადე სააკაშვილმა მთელი სტრატეგიული ობიექტები გადასცა რუსეთს, ეს არის რეალური განსხვავება ჩვენს პოლიტიკურ ძალას და თქვენს პოლიტიკურ ძალას შორის, იმდენად უსუსურ მდგომარეობაში არიან ენმ-ს წარმომადგენლები, იციან, რომ მარცხდებიან ყველგან, არავითარი თეორიული შანსი არ რჩებათ გარდა ბინძური პროვოკაციისა და ფაბრიკაციისა და დღეს მორიგი სისულელე მოიფიქრეს, თითქოს სერვერებზე შეტევა განვახორციელეთ. ვის რაში სჭირდება თქვენი სერვერები?!“, — თქვა ღარიბაშვილმა.

ანალიტიკოსი **გია აბაშიძე** ამბობს, რომ ფაქტი ერთია, რაც „ტვ პირველის“ მიერ გაშვებულ ფარულ ჩანაწერში ვიხილეთ, საერთოდ შინაარსი რა ჰქონდა, მაყურებელმა ვერც გაიგო. აბაშიძე for.ge-სთან აცხადებს, რომ რეალურად, სააკაშვილის რეჟიმს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რამე რომ ჰქონოდა, ამას უკვე 2012 წელს გაასაჯაროვებდა. ივანიშვილს ამდენი წლის განმავლობაში ამხელდნენ და 2021 წელს არავინ დაელოდებოდა. მისი აზრით, ესაა სასოწარკვეთილი და აგონიაში მყოფი ადამიანების გაფართხალება. საკუთარი სისხლის სამართლის დანაშაულზე თავისსავე ტელევიზიაში საუბრობენ.

„იმდენად სასაცილო მონტაჟი და ბოდვა ვიხილეთ, რომ თავად სააკაშვილის რეჟიმის დროსაც კი ასეთი უტიფრობის მტკიცება ვერავინ გაბედა. ნოდარ მელაძე და „ტვ პირველის“ მფლობელები მზად არიან, თუნდაც მათთვისვე საზიანო ბოდვა ტელევიზიაში გაუშვან. ყველაფერზე მიდიან, ოღონდ კიეველი პოლიტიკური მაწანწალას დაკვეთა შეასრულონ. რაც შეეხება ამ ჩანაწერებს, ცხადია, რომ ასეთი ჩანაწერები ქვეყნიდან გატანილია და წინასაარჩევნოდ მსგავსი აბსურდის გამოგდება იციან ხოლმე. ყოფილი ჩინოსნები, რომლებიც გაქცეულები და ძებნილები არიან, პერიოდულად ამ ჯიბის ტელევიზიებს ამარაგებენ. ჟურნალისტობაზე პრეტენზიის მქონე „ტვ პირველის“ თანამშრომლებმა იქნებ მათზე გადაღებული ფარული ჩანაწერებიც მოიკითხონ, რომელიც სააკაშვილს მრავლად აქვს ჩაწერილი და გადაღებული. თანაც იმდენად პიკანტურ და უხერხულ სიტუაციაში, რომ არ მგონია, დიდად კმაყოფილები დარჩნენ“, — ამბობს **გია აბაშიძე**.

აბაშიძის თქმით, „ტვ. პირველი“ იმდენს იზამს, საბოლოო ჯამში, საზოგადოება მათ მიერ გამოცხადებულ ამინდის პროგნოზსაც აღარ დაიჯერებს. ეს კი უკუპროპორციულად მათ რეიტინგზე აისახება. ანალიტიკოსის თქმით, ტელეკომპანიაზე ვითომ განხორციელებული კიბერთავდასხმა აბსურდია, რადგანაც მათ მიერ სწრაფად და უხარისხოდ შექმნილ ახალ სტუდიაში სისტემა გაუმართავია, რის გამოც მსგავსი დაზიანება მოხდა. ამიტომაც ისიც ტყუილია, თითქოს მათ მიერ გაშვებული სისულელის გამო ვინმე „ტვ პირველის“ სისტემას თავს დაესხა.

ანალიტიკოსი **დავით ქართველიშვილი** ფიქრობს, რომ მსგავსი აბსურდის ტელევიზიაში გაშვებით, „ნაციონალური მოძრაობა“ და მასთან აფილირებული ტელეკომპანია საკუთარ თავს სამარეს თავადვე უთხრის. ამ სიუჟეტიდან საზოგადოებამ თუ რამე გაიგო, ისაა, რომ კიდევ ერთხელ მოხდა შეხსენება სააკაშვილის დამნაშავე ხელისუფლება მათ როგორ უსმენდა, უთვალთვალებდა და მათი ცხოვრების ყველა დეტალს იწერდა. ანალიტიკოსისთვის გაუგებარია, რა იყო ნოდარ მელაძის ყალბი სიუჟეტის მიზანი. ჟურნალისტი სრულიად სხვა ტექსტს ამბობდა, ხოლო სიუჟეტში ბიძინა ივანიშვილი საერთოდ სხვა რამეზე საუბრობდა. ტექსტი და ჟურნალისტი აცდენილები იყვნენ მოცემულ რეალობას.

„საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გაიხსენა და დარწმუნდა, რომ სააკაშვილის რეჟიმი უკან აღარ უნდა დაბრუნდეს. სირცხვილი ისაა, რომ ზუსტად მაგ ტელევიზიიდან ჟურნალისტები ფარული ჩანაწერების გავრცელებას გმობდნენ, თავად კი უნამუსოდ მონტაჟით და ტყუილებით ხალხის აზრის ფორმირებას ცდილობენ. საქმე კი ისაა, რომ ამით მხოლოდ თავად ზარალდებიან. მაქვს ნანახი და მოსმენილი სააკაშვილის რეჟიმის დროს ჩაწერილი ამავე ადამიანებზე არაერთი ფარული ჩანაწერი. ამიტომ უნდა რცხვენოდეთ, მაგრამ სირცხვილი რა არის, საიდან იციან. კასრების საქმე ალბათ ყველას კარგად ახსოვს, მსგავსი არაერთი ჩანაწერი აქვთ ქვეყნიდან გატანილი და ფაქტია, რომ წინასაარჩევნოდ ამ სიბინძურით სასოწარკვეთილებს თავის გატანა უნდათ“, — ამბობს ქართველიშვილი.

ლიკა გერიკაშვილი

◎ ტრიუმფი

„ოქროს“ ფინიში

უკვე გაუწყეთ, რომ პოლონეთის ქალაქ ჩეხანოვში მიმდინარე ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველ შტანგისტებს უკვე 20 მედალი ჰქონდათ მოპოვებული.

თანატოლთა კონტინენტური ფორუმის ფინიშზე „ჯვაროსანთა“ ყულაბას კიდევ 8 ჯილდო შეემატა და **ზურაბ ანთაურისა** და **თემურ ჯანჯღავას** შეგირდებმა აქამდე არნახული გუნდური მონაგარი 28(!)-მდე გაზარდეს – 16 „ოქრო“, 7 „ვერცხლი“ და 5 „ბრინჯაო“.

რაც შეეხება დასკვნი აკორდს, საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ:

17-წლმდელები: გურამ ვეკუა (96 კგ) – 3 „ოქრო“, ნათია გადელია (81 კგ) – 3 „ოქრო“. 15-წლამდელები: ირაკლი ვეკუა(102 კგ) – **„ვერცხლი“** და **„ბრინჯაო“**.

◎ ოქტაგონზე



7 ბრძოლა და 7 გამარჯვება, აქედან ბოლო სამი – ნოკაუტით. ასეთია UFC-ში 33 წლის ქართველი მოჩხუბრის ბიგა ჭიკაძის შთამბეჭდავი შედეგი, რომელიც რეიტინგში მე-8(!) ადგილამდე აღზევდა.

უკანასკნელ მსხვერპლს – ბრაზილიელ ედსონ ბარბოზას იგი მესამე რაუნდში გაუსწორდა და პირველი ქართველი არწივი გახდა MMA-ს ისტორიაში, ვინც ასე მაღლა აფრინდა.

მორიგი წარმატებით ფრთაშესხმული, ქრისტეს ასაკში მყოფი ჩვენი თანამემამულე იმდენადაა დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, რომ მომავალ მეტოქედ თვით დივიზიონის ლიდერი, ჰავაელი თანატოლი **მაქს ჰოლოუეი** გამოიწვია.

მეტიც, როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა, **„კოლინ მაკგრეგორის ერა დასრულდა, ხაბიბ ნურმაგომედოვი სპორტიდან წავიდა და ახლა გიგას დროა“!**

მართლაც, მადა ჭამაში მოდის, გნებავთ – ძალი შესწევს ქადილისა!

◎ ნიჩბები ჩქარა!

დიდებული ნაღავლი



მართალია, ტოკიოს ოლიმპიადაზე მონაწილე არ გვყოლია, მაგრამ ქართველი ნიჩბოსნები რომ აღმავლობას განიცდიან, პორტუგალიის ქალაქ მონტემორში კანოესა და კაიაკში 18 და 23-წლამდელთა შორის გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატმა დაადასტურა, სადაც მთავარ მწვრთნელ კახაბერ ლომიშვილის შეგირდებმა 2 მედალი მოიხვეჭეს.

განსაკუთრებით რუსთაველმა ალექსანდრე წივწივაძემ გვასახელა, რომელიც ერთადგილიანი კანოეთი 500-მეტრიან დისტანციაზე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

შეგახსენებთ, რომ ქვემოქართლელმა ჭაბუკმა მისთვის წარმატებულ მიმდინარე სეზონშივე მოიპოვა ივნისში პოლონეთის ქალაქ პოზნანში ჩატარებული 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის „ოქრო“ (1000 მეტრზე) და „ბრინჯაო“ (200 მეტრზე).

რაც შეეხება დუშელ **მარიამ ქერდიკაშვილს,** რომელსაც იაპონური ფორუმის ლიცენზიის დაუფლებამდე მცირედი დაკლდა, პოლონეთში 23-წლამდელებში 200 მეტრზე დამსახურებულ „ვერცხლს“ ამავე დისტანციაზე ერთადგილიანი კანოეთი მონტემორში დაკავებული ასევე მეორე ადგილი დაუმატა.

დავძენთ, რომ დროს უქმად არც საქართველოს კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი, რიოს თამაშების მეხუთეადგილოსანი, მცხეთელი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორი **ზაზა ნადირაძე** კარგავს. ამჯერად მან მოსკოვში ბაიდარის ოსტატთა პრესტიჟულ საერთაშორისო ტურნირში – ძმები აგეევების, აგრეთვე ოლიმპიური ჩემპიონების – პოსტრიგაისა და დიაჩენკოს თასის გათამაშებაში იასპარეზა და საკუთარ დაბადების დღეზე 100 მეტრზე ერთადგილიანი კანოეთი ფინალურ გაცურვაში მხოლოდ უზბეკ არტურ გულიევს ჩამორჩა.

◎ ფორუმის წინ

ამჯერადაც - ესპანეთი

გაისად ევრობასკეტზე ესპანეთის უძლიერესი გუნდი თბილისში ითამაშებს. როგორც შვეიცარიის ჩვენთვის ტკბილად მოსაგონარ ქალაქ ჟენევაში გამართულმა მუნდიალის შესარჩევი ეტაპის წილისყრამ გაარკვია, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი საქართველოში მეორედაც ჩამოვა, რადგან ჯგუფში „ჯვაროსნებთან“, უკრაინასთან და ჩრდილოეთ მაკედონიასთან ერთად მოხვდა.

ფიბამ ადრევე დაადგინა, რომ ორწლიანი მინი-ტურნირის ყველა მონაწილეს თითო ფანჯარაში ორი მატჩის გამართვა მოუწევს – წლეულს ნოემბერში, გაისად – თებერვალში, ივნისში, აგვისტოსა და ნოემბერში და 2023 წელს – თებერვალში.

რაც შეეხება საკვალიფიკაციო რაუნდის 32 რჩეულს, ისინი კენჭისყრის შედეგად ოთხნაკრებიან 8 ჯგუფში „დახარისხდნენ“ და თითოდან მომდევნო საფეხურზე საუკეთესო ტრიო გავა (სულ – 24 გუნდი), მეოთხეადგილოსანი კი მომავალი ფორუმის საგზურისთვის ბრძოლას გამოეთიშება.

დასახელებული ნაკრებები მეორე ციკლში შექმნიან ექვსგუნდიან ოთხ ჯგუფს, სადაც სასტარტო პაექრობების შედეგები გადაჰყვებათ და ექვს მატჩს მიმოსვლით (3-3-ს შინ და გარეთ) სხვა კვარტეტიდან შემოსული წამყვანი სამეულის წინააღმდეგ მოაწყობენ (ჩვენ – იტალია, რუსეთი, ისლანდია, ნიდერლანდები). საბოლოოდ პლანეტარული მასშტაბის მოვლენაში თითოეული ექვსეულიდან წამყვანი ტრიო იასპარეზებს (სულ – 12). შეგახსენებთ, რომ „ნაიკის“ რეიტინგით **ილიას ზუროსის** გაწვრთნილი საქართველოს ეროვნული ნაკრები მსოფლიოში 37-ეა, ევროპაში კი – მე-18.

FIBA
BASKETBALL
WORLD CUP
PHILIPPINES • JAPAN • INDONESIA 2023

საქართველოს კალენდარი
2021 წელი

26 ნოემბერი. საქართველო – უკრაინა. **29 ნოემბერი.** ესპანეთი – საქართველო. **2022 წელი 24 თებერვალი.** საქართველო – ჩრდილოეთ მაკედონია. **27 თებერვალი.** ჩრდილოეთ მაკედონია – საქართველო. **1 ივლისი.** უკრაინა – საქართველო. **4 ივლისი.** საქართველო – ესპანეთი.

როგორც წინა სეზონში, მომავალი წლის ზაფხულამდე გუნდებს ვერ დაეხმარებიან ნბასა და ევროლიგაში მოთამაშე ლეგიონერები. ჩვენთვის სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენს „ჯვაროსანთა“ ლიდერი **თორნიკე შენგელია,** რომელსაც ცსკა-სთან გაფორმებული კონტრაქტის ერთ-ერთ პუნქტში გარკვევით უწერია, რომ რუსული კლუბი ვალდებულია იგი სანაკრებო მატჩებზე გამოუშვას.

ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს ოპტიმისტურად ვაფასებდეთ საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების მეორე მცდელობას მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვდეს, რომლის ფინალურ რაუნდსაც 2023 წლის 25 აგვისტოდან 10 სექტემბრამდე **იაპონია, ინდონეზია და ფილიპინები** უმასპინძლებენ.

◎ ოკეანის გაღმა

კორდათი დაიწყო

წილისყრამ ისე ინება, რომ საჩოგბურთო სეზონის დიდი სლემის ბოლო ტურნირის – აშშ-ის ღია პირველობის სტარტზე ნიკოლოზ ბასილაშვილს კორტის 21 წლის მასპინძელი, საერთაშორისო კლასიფიკაციის 45-ე ნომერი სებასტიან კორდა შეხვდა – 6:2 და მეტოქის უარი ტრავმის გამო.

1998 წლის ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ჩეხი გამარჯვებულის პეტერ კორდას ვაჟი ელიტაში წლეულს შეიჭრა და მარტში იტალიაში გამართული საგრუნტო ტურნირის მოგებას დელრეი ბიჩის ფინალისტობა და მაიამის მასტერზის ნახევარფინალისტობა მიაყოლა.

რაც შეეხება ნიკას, მან „ფლეშინგ მიდოუზე“ 2018 წელს მერვედფინალამდე მიაღწია, შარშან კი პირველ წრეშივე დამარცხდა ჯონ მილმენთან (ავსტრალია).

ასევე იოლად გაუსწორდა ბასილაშვილი პარიზში დაბადებულ და შემდეგ გაამერიკელებულ 24 წლის მსოფლიო რეიტინგის 151-ე ნომერს მაქსიმ კრესს – 7:6, 6:3, 7:5, არადა წინა დღეს ამ უკანასკნელმა თვით ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი და აშშ-ის შარშანდელი ღია პირველობის ესპანელი ნახევარფინალისტი პაბლო კარენო ბუსტა დაამარცხა სენსაციურად.

მოვლენათა ასეთი განვითარება და საუკეთესო შედეგის – მესამე წრეში გასვლის გამეორება იმედს გვაძლევდა, რომ ნიკა კიდევ უფრო წინ წაიწევდა, მაგრამ...

მსოფლიოს 24-ე ჩოგანთან, 24 წლის ორმეტრიან გიგანტთან რაილი ოპელკასთან ბასილაშვილმა ბრეიქებით დაიწყო როგორც პირველი, ისე მეორე პარტიები, მაგრამ მალევე მეტოქეს უკუბრეიქის შესრულების საშუალება მისცა, ფსიქოლოგიურად გატყდა დ ტურნირს სამ სეტში გამოეთიშა – 6:7, 3:6, 4:6. დავძენთ, რომ ოპელკამ 21 ეისი მოაწოდა.

◎ მამლუქები

ქართული „შერიფი“

სანაკრებო ციებ-ცხელების მიუხედავად, ჩვენი ყურადღება პარალელურად ყველაზე პრესტიჟული ევროპის საკლუბო ტურნირისკენ – ჩემპიონთა ლიგისკენაა მიპყრობილი, სადაც ჯგუფურ რაუნდში გაღწევა ქართული გუნდებისთვის კვლავაც აუხდენელ ოცნებად რჩება მაშინ, როცა იქ თამაშის უფლება სენსაციურად მოიპოვა ტირასპოლის „შერიფმა“.

ერთ დროს მეამბოხე დნესტრისპირეთში, რომლის დედაქალაქსაც ელიტის დებიუტანტი წარმოადგენს, რუსული ტანკები დგანან, მაგრამ მალე იქ მაინც ჩავლენ „რეალი“, „ინტერი“ და ასევე ფრონტისპირა უკრაინული რეგიონის – დონბასის „შახტარი“. რაც შეეხება ასევე უკრაინელი სპეციალისტის – იური ვერნიდუბის გაწვრთნილ შეგირდთა ისტორიულ წარმატებას, იგი ჰაერიდან არ მოსულა და საამაყოა, რომ 1997 წელს დაარსებული კლუბის მიღწევები მის პრეზიდენტ ვიქტორ გუშჩინთან ერთად, ქართველებსაც უკავშირდება. დიახ, ჩვენს მეგობარ და სტრატეგიულ პარტნიორ სახელმწიფოში სხვადასხვა დროს უთამაშიათ დავით მუჯირს, სანდრო ბურნაძეს, რომან გოგინაშვილს, რომან ახალკაცს, ცნობილი ქართველი მწვრთნელის – თემურ მახარაძის ვაჟი შოთა **მახარაძე** უკვე მეოთხე წელია, რაც „შერიფის“ სარეზერვო გუნდსა და კლუბის საფეხბურთო აკადემიის აღსაზრდელებს ავარჯიშებს მთავარი დამრიგებლის ამპლუაში, მაგრამ, მაინც, განსაკუთრებულ ეპითეტებს იმსახურებს ტირასპოლელთა ცოცხალი ლეგენდა, კლუბის 49 წლის აღმასრულებელი დირექტორი **ვაჟა თარხნიშვილი,** რომელმაც მშობლიური გორის „დილასა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ შემდეგ კარიერა მოლდოვაში განაგრძო და საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც ითამაშა. აი, შიდა ქართლელი ცენტრალური მცველის ცამეტწლიანი მონაგარი: 1999-2012 წლებში 360 შეხვედრაში 19 გოლი გაიტანა. არის ქვეყნის 11-გზის ჩემპიონი, თასის 7-გზის, სუპერთასის 4-გზისა და „ესენგეს“ თასის 2-გზის მფლობელი.

გზა დავულოცოთ „შერიფს“ ჩემპიონთა ლიგაში!

◎ ნაკრები

ეტყობა, შევცდით...

მართალია, ვილი სანიოლის სამწვრთნელო მოღვაწეობის დასაწყისმა ოპტიმისტურად განგვაწყო, მაგრამ ტრავმირებული ხვიჩა კვარაცხელიას ფაქტორმა დაგვარწმუნა, რომ, სამწუხაროდ, საქართველოს ეროვნული ნაკრები, ეტყობა, ერთი კაცის გუნდად რჩება და ზოგ-ზოგიერთები ეიფორიაში ნაადრევად ჩავარდნენ.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

საქართველო – კოსოვო 0:1

აქამდე „ჯვაროსნებს“ ქვეყნის რეგიონებში (გორი, ბათუმი, გურჯაანი, ქუთაისი) გამართული 5 მატჩიდან 4 ჰქონდათ მოგებული, ერთი კი ფრედ დასრულებული. ტრადიცია ბათუმის მშვენიერ სტადიონზე დაირღვა, სადაც კოკისპირულ წვიმაში უმაყურებლოდ ვუმასპინძლეთ ასევე ულიდეროდ მოთამაშე კოსოვოს.

პირდაპირ უნდა ითქვას: მეტოქემ დამსახურებულად გაიმარჯვა, რადგან ის, რაც მას შევთავაზეთ, ფეხბურთი არ იყო.

ესპანეთი – საქართველო 4:0

ლუის ენრიკემ ტოკიოს ოლიმპიადის ფინლისტები და ევრო – 2020-ის ნახევარფინალისტები, აგრეთვე ახალგამოჯანმრთელებული რამოსი დაასვენა, ხოლო მადრიდის „რეალის“ წარმომადგენლები გაურკვეველი მიზეზების გამო არც ამჯერად გამოიძახა, მაგრამ საწადელს ნახევარი ძალით მაინც მიაღწია. მეტიც – ვიდეოგამეორების სისტემამ პირენეელებს კიდევ ორი გოლი გაუუქმა. უფრო საგანგაშოა ის ფაქტი, რომ სტუმრებს ერთი ზუსტი დარტყმაც კი არ შეუსრულებიათ „ფურია როხას“ კარისკენ.

ესპანეთი – 10, შვედეთი – 9, კოსოვო – 4, საბერძნეთი – 3, საქართველო – 1 ქულა.

კირა მიქელაძის არდავიწყება

გარდაიცვალა მერაბ ბერძენიშვილის მუზა



წუთისოფელს განერიდა დიდბუნებოვანი ქალბატონი კირა მიქელაძე, თანამედროვეობის უდიდესი მოქანდაკის, ქართველ მიქელანჯელოდ აღიარებული მერაბ ბერძენიშვილის მეუღლე, მეგობარი და შთაგონების უცვლელი წყარო, რომლისთვისაც უამრავი ფერწერული თუ გრაფიკული პორტრეტი აქვს მიძღვნილი დიდ მხატვარსა და მოქანდაკეს.

საქართველოს კულტურის ფონდი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქალბატონი კირას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს ოჯახს, მეგობრებს და საახლობლოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი სული.

თამაზ შილაკაძე,
საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე, აკადემიკოსი

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბავშვობის უახლოესი მეგობარი, ქალბატონი

კირა მიქელაძე-ბერძენიშვილისა

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

მიხაი ზიჩისა და ნობელიანტების სახება საქართველოში

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში მისი შექმნიდან პირველად ჩატარდა კულტურული მარშრუტების სტრატეგიული განვითარებისა და სერტიფიცირების საბჭოს სხდომა, რომელზეც ორ ახალ კულტურულ მარშრუტზე იმსჯელეს. ესენია: „მიხაი ზიჩის მარშრუტი საქართველოში“ (წარმოდგენილი საქართველოში უნგრეთის საელჩოს მიერ) და „ნობელიანტები თბილისში“ (წარმოდგენილი ა(ა)იპ თბილისის მუზეუმების გაერთიანების მიერ).

მარშრუტის „მიხაი ზიჩის მარშრუტი საქართველოში“ მიზანია ცნობილი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის საქართველოში მოღვაწეობის ერთიან კონტექსტში წარმოჩენა, მხატვრის შემოქმედების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა და ქართულ-უნგრული კულტურული ურთიერთობების გაღრმავება. მარშრუტის ფარგლებში მოსანახულებელი ობიექტები ზუსტად მიჰყვება მე-19 საუკუნეში მხატვრის მოგზაურობასა და მოღვაწეობას საქართველოში. გეოგრაფიული არეალი მოიცავს შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთისა და იმერეთის რეგიონებს.

რაც შეეხება მარშრუტს „ნობელიანტები თბილისში“, მისი მიზანია მე-19 საუკუნის ბოლოდან მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე აღადგინოს და გააცოცხლოს საქართველოს არქივებში, მემუარებსა და მუზეუმებში დაცული ობიექტები, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად კავშირში არიან ნობელიანტთა სტუმრობასთან თბილისში.

შეგახსენებთ, საქართველო 2016 წელს ოფიციალურად გაწევრიანდა ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების პროგრამაში, რაც შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეროვნულ დონეზე განხორციელებას გულისხმობს.

დედაქალაქის მერი: პანდემიის გამო შეჩერებული პროექტები შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდება

რას უყვება კახა კალაძე თავის 4 შვილს და მეუღლეს?!

დედაქალაქში პანდემიის გამო შეჩერებული პროექტები ახალ საარჩევნო პროგრამაში გათვალისწინებულია და შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდება, — ამის შესახებ თბილისის მერობის კანდიდატმა კახა კალაძემ საარჩევნო პროგრამის მთავარი მიმართულებების პრეზენტაციაზე განაცხადა.

კახა კალაძემ კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით შეჩერებულ პროექტებს შორის დაასახელა მიწისზედა მეტროს პროექტი სამგორი-ლილოს მიმართულებით, ასევე, თბილისის ანძისა და ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობის პროექტები, ღამის ეკონომიკის პროგრამა.

„აქცენტს გავაკეთებ იმ პროექტებზე, რომლებიც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დედაქალაქისთვის, თუმცა სხვადასხვა ობიექტური ფაქტორების გამო, მათი განხორციელება ვერ შევძელით. ვერ შევძელით, რადგან

რთულია, როდესაც მსოფლიოში პანდემია მძვინვარებს, მიჰყვე წინასწარ დაგეგმილ ჩანაფიქრებს, არ აუწყო ფეხი და მენეჯმენტი ამ გლობალურ პრობლემას. რთულია ახალი ძვირადღირებული რეკრეაციული სივრცეების ან საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობაზე იფიქრო, როდესაც, კოვიდისგან გამოწვეული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გამო ათასობით შენი თანამოქალაქე შემოსავალის და ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის გარეშე რჩება. ამიტომ, რა თქმა უნდა, მერია მოსახლეობის პრობლემების შემსუბუქებაზე და ამ ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაეწყო, სახსრებიც ამ მიმართულებით გადავანაწილეთ და ამ მხრივაც ბევრის გაკეთება შევძელით ჩვენი მოსახლეობისთვის.

მინდა, მაგალითისთვის შეგახსენოთ ის გეგმები, რაც პანდემიამ შეგვიფერხა — დაპაუზდა ახალი მიწისზედა მეტროს პროექტი სამგორი-ლილოს მიმართულებით. ლოქდაუნის გამო ვერ შევძელით, დროულად მოგვეძიებინა კვალიფიციური კომპანიები, რომლებიც თბილისის ანძის პროექტს განახორციელებდნენ, 4 წელიწადში ვერ დავასრულეთ ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა, თუმცა ნაწილი უკვე განხორციელების პროცესშია, როგორც ამ და ისე ჩამოთვლილ პროექტებს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე. ასევე, პანდემიისგან გამოწვეულმა პროცესებმა დააზიანა ღამის ეკონომიკის პროგრამა და ვერ შევძელით, ბოლომდე აგვეთვისებინა ის პოტენციალი, რაც თბილისს ამ მიმართულებით გააჩნია, თუმცა მოვახერხეთ, გლობალური პანდემიით დაზარალებულ ღამის ეკონომიკის სექტორებს გვერდში დავდგომოდით და შევეცადეთ, კრიზისი შეგვემსუბუქებინა, რათა თბილისის დიდი პოტენციალი ამ მიმართულებით მაქსიმალურად მცირე დანაკარგებით შენარჩუნდეს. ასევე, გადაიდო გამზირების რეაბილიტაცია, რომელიც თბილისის უბნებს კიდევ უფრო ლამაზს და მიმზიდველს გახდიდა“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

ყველა ეს პროექტი გათვალისწინებულია ოთხწლიან პროგრამაში.

„სამწუხაროდ, ასე შეაფერხა მსოფლიო პანდემიამ ჩვენი თბილისური გეგმები, თუმცა პროექტების განხორციელებას მაინც შევძლებთ უახლოეს მომავალში. ყველას იმედი გვაქვს რომ ეს პანდემია სულ მალე უკან დაიხევს და ყველანი დავუბრუნდებით ჩვეული ცხოვრების რიტმს. ოპტიმიზმის და მომავლის იმედს გვმატებს ის, რომ 2017 წელს წარმოდგენილი ჩვენი საარჩევნო პროგრამიდან ამ რამდენიმე მიმართულების გარდა, პრაქტიკულად ყველა პროექტის განხორციელება შევძელით. ეს გვიქმნის სტიმულს და თავდაჯერებულობას, რომ შევძლებთ იმ რამდენიმე შეუსრულებელი პროექტის განხორციელებასაც, რომელიც 2017 წელს წარმოვადგინეთ და იმ პროგრამული დაპირებების შესრულებასაც, რომელსაც ახალი საარჩევნო პროგრამით ვგეგმავთ და რომელიც არსებითად შეცვლის ჩვენს ქალაქს უკეთესობისკენ“, — დასძინა თბილისის მერობის კანდიდატმა. კახა კალაძემ საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ნდობისთვის და თბილისელების მხარდაჭერით მიღებულ მოტივაციაზე ისაუბრა. **„პირველ რიგში, მინდა კიდევ ერთხელ გადაგიხადოთ მადლობა იმ ნდობისა და მხარდაჭერისთვის, რასაც წლების განმავლობაში თქვენგან ვგრძნობ. მადლობა ყველას იმ გულწრფელი კრიტიკის და შექებისთვის, რომელიც მაძლევდა უფრო მეტ მოტივაციას და ძალას, ჩვენი დედაქალაქის სამსახურში მეტი ენერგია და მოწადინება ჩამედო. მე ვარ ბედნიერი, როცა სამუშაო დღის ბოლოს ვბრუნდები სახლში და ჩემს ოთხ პატარა თბილისელს, ჩემს მეუღლეს ვუყვები, თუ როგორ ჩაიარა მორიგმა სამუშაო დღემ, ვუყვები იმ გეგმებზე, რასაც ვახორციელებთ მათთვის და თითოეული იმ ადამიანისთვის, ვინც ჩვენს დედაქალაქში ცხოვრობს და მომავალში იცხოვრებს. ბედნიერი ვარ, როცა რიგითი მოქალაქეების თვალებში ვხედავ მხარდაჭერას, მოწონებას და იმედს, რომ ჩვენი თბილისი არა მხოლოდ კარგი, არამდე საუკეთესო ქალაქი იქნება“,** — თქვა თბილისის მერობის კანდიდატმა.

◎ მხნედ, მეგობარო!

ბადრი მთვარესავით ნათელი კაცი

ამ პიროვნებასთან ურთიერთობა ადვილიცაა და რთულიც.

დიახ, თუ გაგიგო და გული გადაგიშალა, თან გადაგყვება და საკუთარი ოჯახის წევრივით მიგიღებს, მაგრამ, ამავე დროს, დისტანციაც უნდა დაიცვა, რადგან, სხვა თუ არაფერი, მისი მშობლიური ამაგი უნდა გაითვალისწინო და, ბოლოს და ბოლოს, ასაკს სცე პატივი.

ბადრი ბარკალაიაზე მოგახსენებთ – ჩვენი რედაქციის მოუშუშებელი იარის, სულმნათი რუსლან რუსიას ძველ მეგობარზე, რომელთა აზარტული სანარდო ომებიც კოლხური პრინციპულობით გამოირჩეოდა და სწორედ მაშინ დავუახლოვდი კიდეც „საქართველოს რესპუბლიკის“ სასურველ და საიმედო სტუმარს.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი საქონელმცოდნის სპეციალობით წარჩინებით დაამთავრა და საბრძოლო ნათლობა მშობლიური სენაკის (მაშინდელი ცხაკაიას) ქალაქვაჭრობის თავკაცის პოსტზე მიიღო.

იმ პერიოდს უკავშირდება სპორტულ სამყაროსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარება, რაც რაიონში რამდენჯერმე ბრძენთა თამაშის თვალსაჩინო წარმომადგენელთა – ნანა იოსელიანის, მიხეილ ბოტვინიკისა და გია ნადარეიშვილის მიწვევასა და იქაურ ნორჩ მოჭადრაკეებთან ერთდროული სეანსის გამართვაში გამოიხატა.

ცალკე სასაუბრო თემაა ოდაბადესა და ყოველივე ეგრისულისადმი მისი სამაგალითო დამოკიდებულება. ნიმუშად საპატიო თანამოქალაქეებისადმი მიძღვნილი კრებულის – „სენაკის მატიანე“ გამოცემაში რედაქტორობით შეტანილი წვლილი გამოდგება და, როგორც გაგვანდო, მალე მეორე გამოცემაც იხილავს მზის შუქს.

როცა ბადრი ბარკალაიაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით მისთვის მომადლებულ კიდევ ერთ თვისებას – მოყვასისადმი ყურადღების გამოჩენის ერთეულთათვის დამახასიათებელ ბუნებრივ ნიჭს. მართლაც, ძნელია გაიხსენო კაცმა ისეთი შემთხვევა, როცა ბატონ ბადრის ვინმესთვის საიუბილეო თარიღის მილოცვა ან მისამძიმრება გამორჩა, იქნება ეს ბავშვობის, სტუდენტობისა თუ მოწიფულობის ასაკისდროინდელი დიდი სამეგობროს რომელიმე ღირსეული წევრი.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მუდამ მოვლენათა ეპიცენტრში მოტრიალე თავადაც ღირსების ორდენოსანი ჩვენი ჯიგარი თანამედროვე უკვე 75 წლისაა, მაგრამ დარწმუნებულნი ვართ, საამაყო შთამომავლობით სიბერეგატკიბილებულ ძვირფას მოკეთეს მომავალ მრგვალ თარიღებსაც არაერთხელ მივულოცავთ.

მრავალჟამიერ, „შალვოვიჩ“!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის სახელით

გია პლატონიშვილი

ჭავჭავაძეების საგვარეულო ხმალი სამშობლოში დაბრუნდა

საქართველოს სახელმწიფოს ბიზნესმენ დავით ხიდაშელისგან საჩუქრად გადმოეცა ჭავჭავაძეების საგვარეულო ხმალი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს კულტურის მინისტრმა თეა წულუკიანმა დავით ხიდაშელთან ერთად სამინისტროში ბრიფინგი გამართა.

დავით ხიდაშელმა აღნიშნა, რომ მან უნიკალური ისტორიული ნივთი ბელგიის აუქციონზე შეიძინა, რათა ის სამშობლოში ჩამოეტანა და სამუზეუმო ექსპონატად ექცია. სანამ საქართველოს სახელმწიფოს საჩუქრად გადმოეცემოდა, დავით ხიდაშელის ხარჯით და დაკვეთით ექსპონატს

კონსერვაცია ჩაუტარა ისტორიული იარაღის რესტავრატორმა გოჩა ლაღიძემ.

დავით ხიდაშელმა განაცხადა, რომ იარაღი აუქციონზე გამოიტანა ალექსანდრე ჭავჭავაძის პირდაპირმა შთამომავალმა და დასძინა, რომ მოცემულმა პირმა ნივთი ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟის დავით ჭავჭავაძისგან მიიღო.

თეა წულუკიანმა დავით ხიდაშელს ქვეყნისათვის გაწეული სამსახურისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ ექსპონატს კულტურის სამინისტრო საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაუდებს ბინას.

„საქმე გვაქვს უნიკალურ ექსპონატთან და ჩვენი მუზეუმებისთვის დიდ შენაძენთან, მით უმეტეს, თუ გავიხსენებთ, რომ დავით ჭავჭავაძის ხანჯალი მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმში ინახება.

ჩვენი სამინისტრო მადლიერებას გამოხატავს დავით ხიდაშელისა და ყველა იმ ადამიანისადმი, ვინც საქართველოს სხვადასხვა მუზეუმის ფონდების გამდიდრებაში უანგაროდ მონაწილეობს და ამით საქვეყნო საქმეს აკეთებს“, – დასძინა თეა წულუკიანმა.

ინფორმაციისთვის: თავად ალექსანდრე ჭავჭავაძეს ერთი ვაჟი და სამი ქალიშვილი ჰყავდა. მისი ერთადერთი ვაჟი დავით ჭავჭავაძე იყო რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტი. ის არმიაში მსახურობდა 1834 წლიდან; იყო ლეიბ-გვარდიის ულანტთა პოლკში უნტეროფიცერი; ყირიმის ომის დროს (1853-1856 წწ.) ხელმძღვანელობდა კახეთის დაცვას შამილის თავდასხმებისაგან. 1854 წელს დავით ჭავჭავაძემ მიიღო მეფის ფლიგელ-ადიუტანტობა. 1861 წელს დავით ჭავჭავაძე გენერალ-მაიორი გახდა და მეფის ამალაში ჩაირიცხა. რაც შეეხება ქალიშვილებს, ნინოს სილამაზე და ალექსანდრე გრიბოედოვისადმი უსაზღვრო სიყვარული არაერთი პოეტის მუზა გამხდარა. ეკატერინე სამეგრელოს უკანასკნელი დედოფალი გახლდათ, ხოლო სოფიო – ბარონესა ნიკოლაი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

თემურ მიქელაძე:

უმოკლეს დროში გადაწყდება 12 წლის ზემოთ მოზარდების ვაქცინაცია

ალბათ, უმოკლეს დროში მივიღებთ გადაწყვეტილებას 12 წლის ზემოთ მოზარდების ვაქცინაციაზე და ეს დაშვებული იქნება, მაგრამ მანამდეც შეუძლიათ მოგვმართონ ქრონიკული, რისკჯგუფის მქონე პაციენტებმა, - ამის შესახებ პედიატრმა თემურ მიქელაძემ იმუნიზაციის საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, ბავშვებისთვის, რომლებსაც არანაირი პათოლოგია არ აქვთ, ვაქცინაცია არ არის აუცილებელი.

„ჩემი მიმართვით რამდენიმე ბავშვი აიცრა საქართველოში, ეს იყო განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებები და სწორედ ამ ბავშვებისთვის იყო აუცილებელი ეს ვაქცინაცია. ესენი იყვნენ 12, 14 და 15 წლის ბავშვები. მათ ნორმალურად გადაიტანეს, ერთ-ერთი მათგანი შემდეგ დაინფიცირდა კიდეც და ჰქონდა მსუბუქი ფორმით. შესაბამისად, გავიდა ერთი თვე და მეორე დოზასაც დავამატებთ.

ჩემი რეკომენდაცია იქნება, რომ განსაკუთრებით რისკჯგუფის მქონე ბავშვებს უნდა ჩაუტარდეთ ვაქცინაცია. რაც შეეხება ბავშვებს, რომლებსაც არანაირი პათოლოგია არ აქვთ, არ არის აუცილებელი ვაქცინაცია. ჯობს, ეს ვაქცინები ჯერ გამოვიყენოთ იმ მოწყვლადი მოსახლეობისთვის, რომლისთვისაც კორონავირუსული ინფექცია შესაძლოა ლეტალურად დასრულდეს“, – განაცხადა თემურ მიქელაძემ.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 13 სექტემბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.1115; ევრო - 3.6924;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.2936;
100 რუბლი - 4.2469; თურქული ლირა - 0.3735;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8304;
1000 სომხური დრამი - 6.3103.

ამინდი 9 სექტემბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+28
მთიანი რაიონები -	ღამე	+8,	დღე	+27
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+14,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+11,	დღე	+27
თბილისი:	ღამე	+17,	დღე	+27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge